



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N 7 განკარგულების თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს საკრებულოს წევრი გიორგი ჩაგანავა; ამავე წლის 4 დეკემბრის N 13 განკარგულებით დამტკიცდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა 12 წევრით. საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N18 დადგენილებით საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დებულება.

საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული 2020 წლის 31 იანვარის N 13 ბრძანების შესაბამისად კომისიების ჩატარების გეგმა გრაფიკის შესაბამისად ვატარებდი კომისიის სხდომებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

კომისიამ ჩატარა 8 სხდომა. სხდომებზე სულ განხილულ იქნა 21 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სხდომებზე განხილულ სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ წარმოადგინა 8 დასკვნა, რომლების წარდგენილ იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე, ამავდროულად გადიგზავნა მუნიციპალიტეტის მერიაში რეკომენდაციების სახით. მათ შორის:

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის N 32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 1-2-3-4 კვარტლების შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დადგენის შესახებ.

- კომისიაში შემოსული კორესპონდენციის შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.
- საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში კომისია განიხილა და შემოსულ წერილებსა და კორესპონდენციებს. სულ 28 რომელიც განხილული იქნა კომისიის სხდომაზე შემდგომი რეაგირებისათვის.

საანგარიშო პერიოდში, ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში და ყოველ კვარტალურად, კომისია ისმენდა და აფასებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურების ანგარიშებს.

აქტიურად ვთანამშრომლობდით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ხედვები, დამოკიდებულებები, მიდგომები მთელი რიგი საკითხების მიმართ. ჩვენთვის საყურადღებოა მათი წინადადებები, რეკომენდაციები, რომელსაც დიდი ყურადღებით ვეცნობით და ვითვალისწინებთ კიდევ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მაღალი პასუხისმგებლობით, აქტიურობით, გულისხმიერებითა და ეფექტური მიდგომებით განახორციელებს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

გიორგი ჩაგანავა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე